განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## თბილისის არქიმედეს სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი 14,15 ივლისი 2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი 8 აგვისტო 2022წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | თბილისის არქიმედეს სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 405101562 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | თბილისი, ო. ონიაშვილი ქ. #6<br>თბილისი, ო. ონიაშვილი ქ. #4<br>თბილისი, ს. კანდელაკის ქ. #39<br>თბილისი, ს. კანდელაკის ქ. #37 |
| ფაქტობრივი მისამართი | ო. ონიაშვილი ქ. #6<br>ო. ონიაშვილი ქ. #4<br>ს. კანდელაკის ქ. #39 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ს. კანდელაკის ქ. #37 |
| საფოსტო ინდექსი | 0160 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | archimede.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | archimedeskolamail@gmail.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 577975067 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | ირაკლი მანელიძე |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 577240572 |
| ელ-ფოსტა | i.manelidze@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძნება MES9 22 0000560568, 31/05/2022 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 14,15 ივლისი 2022წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ნანა მონიავა |
| წევრი (სახელი, გვარი) | ირმა ხუციშვილი |

## IV. ვიზიტის შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | | | |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------- ნ. მონიავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------- [illegible]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.1. | .............. |
| | 1.2. | ............... |
| | | |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.2. სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | სკოლს ერთ-ერთ შენობაში (კანდელაკის ქ. N37, რომელშიც ჯერ სასწავლო პროცესი არ განხორციელებულა) გათბობის ქვაბი განთავსებულა იზოლირებულ სივრცეში, მაგრამ შენობის შიგნით. სკოლს ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია ქვაბის შენობის გარეთ დამონტაჟების. |
| | 2.6. სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის და სამედიცინო პერსონალის რაოდენობის შესაბამისობისათვის (100-500 მოსწავლეზე 1 ექიმი (კადრის არარსებობისას შემთხვევაში ექიმი შეიძლება ჩანაცვლდეს ექთნით)) სკოლას ესაჭიროება ერთი ექიმი, სკოლის განსხვავებულ ფართებზე, 4 შენობაში განთავსებულ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | მოსწავლეებს ერთი ექიმი ვერ მოემსახურება, ამიტომ სკოლას ესაჭიროება 2 ექიმი. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 2 ექიმთან, ერთი მათგანი აკმაყოფილებს ზემოთ ნახსენები წესის მოთხოვნებს, ხოლო მეორე არა.<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია ორივე ექიმი ჰყავდეს წესში მოთხოვნილი კვალიფიკაციის შესაბამისი.<br>სკოლამ გამოაცხადა კონკურსი არსებულ ვაკანსიაზე. |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | სკოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად შეძლება ჩაითვალოს კათედრების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლის პორტფოლიოების წარმოება, რომელიც სკოლას აქვს სტრუქტურირებული და სკოლის თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს (ყველა დოკუმენტი გაციფრებულია და განთავსებულია დრაივზე). |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | სკოლის უმთავრესი მისიაა, განახორციელოს განათლების სფეროში სახელმწიფო იდეოლოგიის რეალიზაცია.<br>ამასთან ერთად:<br>✓ ტექნიკური განათლებით დაინტერესებულ მოსწავლეებს მისცეს მაღალი ხარისხის პროფილური განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგნებში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, აუმაღლოს მოტივაცია საინჟინრო–ტექნიკური დარგების შესწავლისადმი.<br>✓ ადრეულ ასაკში გააცნოს მათ მეცნიერული მუშაობის მეთოდები და განუვითაროს კრიტიკული აზროვნება.<br>✓ დანერგოს უცხო ენების მაღალ დონეზე სწავლების პრაქტიკა, რის შედეგადაც მოსწავლეებს მიეცემათ სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის უცხოურ ენებზე გაცნობის შესაძლებლობა.<br>✓ ხელი შეუწყოს და მოამზადოს მოსწავლეები როგორც ეროვნულ, ასევე საზღვარგარეთის მაღალი რეიტინგის მქონე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებისათვის. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | ექსპერტი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის* |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------- ნ. მონიავა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:<br>--------460------</td><td>☒</td><td>თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტი არ ეთანხმება<br>☐</td><td></td></tr>
</table>

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თბილისის სკოლა არქიმედეს სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება N1/კ-30, 06/09/2021). სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:<br>1. შესავალი;<br>2. ზოგადი პრინციპები;<br>3. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები;<br>4. სასწავლო პროცესის ორგანიზება;<br>5. შეფასების სისტემა;<br>6. საგანმანათლებლო რესურსები;<br>7. ინკლუზიური განათლება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 8. დისტანციური სწავლება;<br>9. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარება<br>10. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები.<br>სკოლაში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი კლასებისა და საფეხურების შესაბამისად. სკოლას საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი (MES 3 22 0000197890 25/02/2022) სადაც განმარტებულია რომ „ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის თანახმად, კერძო სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით“).<br>საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს სხვადასხვა საგნის არჩევას. არჩევითი საგნების სახით ისწავლება:<br>• „მულტიმედია და დიზაინი“ (X კლასში);<br>• „ეკონომიკა და სახელმწიფო“ (XI კლასში);<br>• „შესავალი თანამედროვე ფიზიკაში“ (XII კლასის პირველი სემესტრში).<br>სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.<br>სსგ მიხედვით, გაზრდილია საათობრივი დატვირთვა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და უცხოურ ენებში.<br>სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო მომსახურებას, კერძოდ:<br>• შემეცნების წრე;<br>• დაპროგრამების საფუძვლების წრე; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინგლისურენოვანი თამაშები/თავსატეხები;<br>• ხელოვნების წრე(ცეკვა, სიმღერა, ხატვა);<br>• ჭადრაკის წრე;<br>• ფსიქოლოგიის წრე;<br>• რუსული ენის წრე;<br><br>დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას აქვს ფაკულტატურული სახე.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ემსახურება სკოლის მისიის მიღწევას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **სასკოლო სასწავლო გეგმა 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-30 ბრძანება**<br>• **ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი MES 3 22 0000197890, 25/02/2022** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.<br>ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა კათედრების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლის პორტფოლიოები, რომელიც სკოლას აქვს სტრუქტურირებული და სკოლის თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს (ყველა დოკუმენტი გაციფრებულია და განთავსებულია დრაივზე).<br>თითოეულ საგნობრივ პროგრამაში აღწერილია სასწავლო წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები, სწავლების მეთოდიკა, შეფასების კრიტერიუმები და დაგეგმილი აქტივობები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის მიზანია დეკლარატიულ ცოდნასთან ერთად მოსწავლე აღიჭურვოს იმ უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად. განხილული პროგრამები ხელს უწყობს მოსწავლეში დამოუკიდებელი, თანამშრომლობითი, ანალიტიკური, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების უნარების გამომუშავებას კვლევისა და პრობლემების გადაჭრის შემცველი აქტივობებისა და დავალებების საშუალებით.<br><br>სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი კათედრა:<br>• სახელმწიფო ენის კათედრა;<br>• მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრა;<br>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა;<br>• საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;<br>• უცხოური ენების კათედრა,<br>• ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის კათედრა;<br>• დაწყებითი კლასების კათედრა;<br>კათედრაზე განიხილება შემუშავებული კომპლექსური დავალებები, ხდება მათი განხორციელების შედეგების, ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.<br>ყველა მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი იყო მათ მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამა, თემატური მატრიცები, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან.<br>სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ, როგორც შიდა სასკოლო ასევე სხვადასხვა ოლიმპიადებსა და კონკურმაღალ შედეგებს აღწევენ.<br>სკოლა სთავაზობს კლუბებს: LEGO Education Wedo 2.0; ჟურნალისტთა კლუბი; ნორჩ ქიმიკოსთა კლუბი.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ |

| | |
|---|---|
| | ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა (2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-30 ბრძანება)<br>• საგნობრივი პროგრამები;<br>• სკოლის კათედრის დებულება (2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-28 ბრძანება);<br>• შემაჯამებელი დავალების ანალიზი.<br>• კათედრების პორტფოლიო<br>• მასწავლებლების პორტფოლიო<br>• https://archimede.ge/<br>• https://archimedia.archimede.ge/About_Us.html |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო საზოგადოების წევრებს გააზრებული აქვს მოსწავლეთა თანაბარუფლებიანობა, მათი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობა და აუცილებლობა სწავლა-სწავლების დროს. ამ მიზნით სკოლას ნაფიქრი აქვს სხვადასხვა მიმართულებით და შექმნილი აქვს დოკუმენტები გაწერილი შესაბამისი მექანიზმებით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი.<br>საგანმანათლებლო პროცესი ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ფსიქო-ემოციური მდგრადობისათვის სკოლას ჰყავს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფსიქოლოგი, რომელიც აკვირდება სასკოლო კლიმატს და საჭიროების შემთხვევაში სწავლობს, აანალიზებს კონკრეტულ სიტუაციებს და საჭიროების შემთხვევაში უწევს კონსულტირებას სასკოლო საზოგადოების წევრებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-30 ბრძანება;<br>• სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა პროგრამა 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-49 ბრძანება;<br>• ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-45 ბრძანება);<br>• ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-38 ბრძანება;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „თბილისის აქრიმედეს სკოლის" სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია:<br>• მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები;<br>• განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება;<br>• აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა;<br>• საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები;<br>• განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები;<br>• ქულების გამოანგარიშების წესი;<br>• კლასისა და საფეხურის დაძლევა;<br>• გაცდენები;<br>• გამოცდის ტიპები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები;<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება;<br>• სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები.<br><br>სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.<br><br>განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.<br>მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის;<br>მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება დირექციასა და პედაგოგთა შეხვედრებზე;<br>პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს;<br>ყოველი სემესტრის დასრულებისას, პედაგოგები აკეთებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა სემესტრების მიხედვით შესრულებული იყო, გაანალიზებული და შედეგები ასახული სკოლის ელექტრონულ ჟურნალში EduPage. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-30 ბრძანება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შემაჯამებელი დავალების ანალიზი.<br>• ელექტრონული ჟურნალი EduPage (https://archimede.edupage.org) |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლების ინფორმირების წესი, ასევე განისაზღვრება სკოლისა და მშობლის უფლება-მოვალეობები, მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია.<br>მშობლებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მიეწოდება ინფორმაცია საკუთარი შვილის აკადემიური მოსწრების განმავითარებელი კომენტარების, რეკომენდაციების სახით), წარმატების, წარმოქმნილი პრობლემის შესახებ.<br>მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით. მათ შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ღონისძიებებში, სასკოლო გამოკითხვებში(ანონიმური) და თავისუფლად გამოხატონ თავის აზრი და სურვილები სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მშობელთან ურთიერთობის დებულება 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-24 ბრძანება;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-36 ბრძანება;<br>• კლასის დამრიგებლების საქაღალდეები;<br>• შინაგანაწესი 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-19 ბრძანება;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-30 ბრძანება;<br>• ელექტრონული ჟურნალი EduPage (https://archimede.edupage.org). |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს „სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვის და გაუმჯობესების მექანიზმი“.<br>სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“. დოკუმენტში გაწერილია ციკლის თითოეული ეტაპი განმარტება.<br>სკოლის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების დადგენის მნიშვნელობა და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად გათვალისწინებული აქვს შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:<br>• სასწავლო პროცესის მუდმივი კონტროლი;<br>• ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების ანალიზი;<br>• ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების გათვალისწინება სასკოლო-სასწავლო გეგმაში;<br>• საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი;<br>• მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნა.<br>სკოლაში ასევე, შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც აკვირდება თითოეულ მასწავლებელს და ახორციელებს ხარისხის კონტროლს.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია:<br>• სკოლაში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფა;<br>• რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა;<br>• სკოლის საქმიანობების შესაბამისობის უზრუნველყოფა შიდა რეგულაციებთან და კანონმდებლობათან.<br>ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სკოლის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს: სასკოლო სასწავლო გეგმა; სასკოლო სასწავლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გეგმის განხორციელებაში ჩართული პერსონალი; სასწავლო პროცესი; კვლევა; მართვის პროცესები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვის და გაუმჯობესების მექანიზმები 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-32 ბრძანება;<br>• ხარისიხის უზრუნველყოფის მექანიზმები 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-36 ბრძანება;<br>• მშობელთა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა კითხვარები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | იმ კითხვარებისათვის, რომელიც სკოლის ვებ გვერდზეა განთავსებული (https://tinyurl.com/3yyh78vc , https://tinyurl.com/y399arae ) ალბათ უკეთესი იქნება განსაზღვრული იყოს მიზანი, სამიზნე ჯგუფი. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს **თბილისის არქიმედეს სკოლა** განთავსებულია ოთხ განსხვავებულ მისამართზე. 2022 წლის ივნისის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბოლომდე სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა შემდეგ სამ შენობაში<br>1. ო. ონიაშვილი ქ. #4 მისამართზე აქვს 2 საკლასო ოთახი, სასადილო/საკონფერენციო სივცრე, ეზო;<br>2. ო. ონიაშვილი ქ. #6 მისამართზე აქვს 12 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, გარე სპორტული მოედანი, დახურული საცურაო აუზი, ბიბლიოთეკასთან ინტეგრირებული კომპიუტერული ლაბორატორია;<br>3. სკოლას ს. კანდელაკის ქ. #39 მისამართზე აქვს 7 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კალათბურთისა და ფრენბურთის სათამაშო მოედანი.<br>4. სკოლას ს. კანდელაკის ქ. #37 მისამართზე აქვს 5 საკლასო ოთახი, ეზო, გადახურული მოედანი მაგიდის ჩოგბურთისთვის;<br><br>არსებული იჯარის ხელშეკრულებით ოთხივე ფართში სკოლას ფუნქციონირება შეუძლია 2028 წლის ზაფხულის ჩათვლით, უფრო ზუსტად:<br>1. ხელშეკრულება 17 ივნისის 2016წლის, შეთანხმება 19 აპრილი 2022წლის. ძალაშია 2028 წლის 20 ივნისამდე.<br>2. ხელშეკრულება 20 ივლისი 2018წლის, შეთანხმება 19 აპრილი 2022წლის. ძალაშია 2028 წლის ივნისის ჩათვლით.<br>3. იჯარის ხელშეკრულება 23 აპრილი 2019წელი, შეთანხმება 19 აპრილი 2022წლის. ძალაშია 2028 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.<br>4. ხელშეკრულება 19 აპრილი 2022წლის. ძალაშია 2028 წლის 1 ივლისამდე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| *ფაქტობრივი მისამართი* | 1. თბილისი ო.ონიაშვილი ქ. N6<br>2. თბილისი ო.ონიაშვილი ქ. N4<br>3. თბილისი ს. კანდელაკის ქ. N39<br>4. თბილისი ს. კანდელაკის ქ. N37 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 1. **01.10.12.040.004**<br>2. **01.10.12.040.018.01.03.500**<br>3. **01.10.12.042.019**<br>4. **01.10.12.042.033** |
| *კვ.მ* | 1. 510 კვ.მ მიწის ფართი 855კვ.მ შენობის ფართი;<br>2. 207,14 კვ.მ შენობის ფართი;<br>3. 578 კვ.მ მიწის ფართი 348 კვ.მ შენობის ფართი;<br>4. 76 კვ.მ მიწის ფართი 358,8 კვ.მ შენობის ფართი;<br><br>სულ შენობების ფართი 1768,94 კვ.მ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • *ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;*<br>• *შიდა აზომვითი ნახაზები;*<br>• *იჯარის ხელშეკრულებები, შეთანხმებები;*<br>• *ვიზუალური დათვალიერებით.* |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწყებითი საფეხურის კლასებისთვის განკუთვნილ სასწავლო შენობებში არის 14 საკლასო ოთახი.<br>საბაზო-საშუალო საფეხურის კლასებისთვის არსებულ შენობაში არის 12 საკლასო ოთახი. სკოლას აქვს 590 ცალი მერხი და 750 სკამი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------ ნ. მონიავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებულია თეთრი დაფა და პლაზმური ტელევიზორი. თითოეულ კლასში ასევე დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი.<br>სკოლა იმატებს ს. კანდელაკის ქ. #37-ის ფართ 2022 წლის 1 ივლისიდან და მითითებულ ისწავლიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სკოლას სურვილი აქვს ავტორიზაციის დროს მოსწავლეთა რაოდენობა გაზარდოს 460 მოსწავლმდე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შიდა-აზომვითი ნახაზით;<br>• ანგარიშ-ფაქტურებით;<br>• მერხებისა და სკამების შეძენისა დოკუმენტებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწყებითი საფეხურის კლასებისთვის განკუთვნილ შენობებში (ო. ონიაშვილი ქ. N4 და N6), სპორტის გაკვეთილებისათვის გამოყოფილია ფართი პირველ სართულზე, სადაც ფართის ნაწილში განლაგებულია მაგიდის ჩოგბურთის სტანდარტული მაგიდა.<br>სკოლას აქვს საცურაო აუზი,(საშხაპეებითა და გასახდელებით), ღია სპორტული მოედანი და დარბაზი სადაც ტარდება სპორტის გაკვეთილები.<br>საბაზო-საშუალო საფეხურის კლასებისთვის განკუთვნილ შენობის (ს. კანდელაკის ქ.N37 და N39), სკოლის ეზოში ასევე ღია მოედანი სპორტის გაკვეთილებისთვის. მოედანზე არის ფრენბურთის ბადე. კალათბურთის ფარი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით.<br>• დირექტორთან გასაუბრება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების(ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანების მე-2 დანართით განსაზღვრული აღჭურვილობის სტანდარტული საორიენტაციო პაკეტი.<br>ლაბორატორიაში არის ონკანი (სველი წერტილი), ნიავდება ბუნებრივი გზით და არის გამწოვი საშუალებაც.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი.<br>მოსწავლეებს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის გაკვეთილების ექსპერიმენტული ნაწილი უტარდებათ ლაბორატორიებში; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში განთავსებული ინვენტარის მეშვეობით მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შესყიდვის დოკუმენტაციით.<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ელექტროენერგიით, წყლითა და ბუნებრივი აირით უწყვეტი უზრუნველყოფა ხორციელდება ცენტრალიზებულად.<br>სკოლას აღნიშნული მომსახურეობები მიეწოდება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 1. ბუნებრივი აირი შპს „თბილისი ენერჯი“;<br>2. ელექტროენერგია TELMICO;<br>3. წყალი GWP (თბილისის წყალი),<br>4. დასუფთავების სამსახური.<br>სკოლას ასევე გააჩნია ელექტროენერგიის ალტერნატიული წყარო - 2 გენერატორი.<br>შენობები უზრუნველყოფილია 24 საათიანი წყლით მომარაგებით. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, ცენტრალური გათბობის სისტემა.<br><br>სკოლის ერთ-ერთ შენობაში (კანდელაკის ქ. N37, რომელშიც ჯერ არ განხორციელებულა სასწავლო პროცესი) გათბობის ქვაბი განთავსებულია იზოლირებულ სივრცეში, მაგრამ შენობის შიგნით. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია ქვაბის შენობის გარეთ დამონტაჟების. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საინვენტარო ჟურნალის მიხედვით სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1320 ერთეულს, მათგან მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურაა, დანარჩენი 550, სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული სასკოლო სახელმძღვანელოები.<br>სკოლას გამოწერილი აქვს გაზეთი „ახალი განათლება“.<br>წიგნებზე სათანადო ადგილას დასმულია სკოლის ბეჭედი და საინვენტარო ნომრები მინიჭებული აქვს. წიგნების გატანა/ მოტანა აღირიცხება მკითხველთა ფორმულარებში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკაში არსებობს მკითხველთა ფორმულარები. ბიბლიოთეკაში არის ანბანური კატალოგი. კედელზე გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც აღწერილია სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, რომელსაც მიეწოდება ინტერნეტი და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის.<br>სკოლის აქვს ორი ბიბლიოთეკა, რომლებშიც განთავსებულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი წიგნები.<br>ბიბლიოთეკებში განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს თითო ეგზემპლიარი. დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ილუსტრირებული მასალები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ.<br>ბიბლიოთეკაში, ასევე არის ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები.<br>შემთხვევითობის პრინციპით იქნა შემოწმებული წიგნები საინვენტარო წიგნის ნომრებთან, შესაბამისობა იყო. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ვიზუალური დათვალიერებით;**<br>• **საინვენტარო წიგნებით;**<br>• **დირექტორთან და ბიბლიოთეკართან გასაუბრებით.** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწყებითი საფეხურის კლასებისთვის განკუთვნილს შენობაში სკოლას აქვს პანდუსი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შენობის პირველ და მეორე სართულს. პანდუსის საშუალებით ეტლით მოსარგებლე მოსწავლეს შეუძლია აღმოჩნდეს ბიბლიოთეკაში, ადაპტირებულ სველ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წერტილში, სააქტო (სპორტულ) დარბაზში, სპორტულ მოედნებზე, საცურაო აუზში, საკლასო ოთახებში. საპირფარეშოში დამონტაჟებულია მოაჯირი, ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.<br>საბაზო-საშუალო საფეხურისთვის განკუთვნილ შენობაში სკოლას აქვს დამონტაჟებული პანდუსი. რაც ეტლით მოსარგებლე პირს აძლევს შესაძლებლობას ისარგებლოს: ბიბლიოთეკით, ადაპტირებული სველი წერტილით, სპორტული დარბაზით, სპორტული მოედნით და საკლასო ოთახებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ვიზუალური დათვალიერება** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის ყველა შენობაში დამონტაჟებულია Wi-fi სისტემა. მოსწავლეებისთის გამოყოფილია ინტერნეტში ჩართული 26 ლეპტოპი ისტ-ის გაკვეთილები მოსწავლეებს უტარდებათ საკლასო ოთახებში. სკოლას ასევე აქვს 1 პროექტორი, 32 პლაზმური ტელევიზორი, 4 ცალი პრინტერისა და სკანერის (გადაღებისა და ბეჭდვის) აპარატი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკასთან ინტეგრირებული კომპიუტერული ლაბორატორია (დაწყებითი კლასების შენობაში), რომელშიც განთავსებულია ლეპტოპები.<br>სკოლას აქვს ვებ-გვერდი http://archimede.ge. სოციალური გვერდი და ელექტრონული ფოსტა archimedeskolamail@gmail.com, რომლებიც ასრულებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ხელშეკრულებებით;<br>• ანგარიშფაქტურებით;<br>• მიღება-ჩაბარების აქტებით;<br>• ვებ ვერდის დომეინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო.<br>სკოლის ყველა ოთახში და ყველა დერეფანში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები. ყველა სართულზე განთავსებულია დამუხტული ცეცხლმაქრები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ცეცხლმაქრების შესყიდვის და დატუმბვის დოკუმენტებით;<br>• დირექტორთან გასაუბრებით.<br>• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობებში თვალსაჩინო ადგილას ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა.<br>თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საევაკუაციო გეგმა;<br>• ხელშეკრულება<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში დაცულია თანამშრომელთა და მოსწავლეთა ჯანმრთელობა. სკოლას ჰყავს 2 ექიმი, მათ კომპეტენციაში შედის პირველადი დახმარების გაწევა. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარების გაწევისთვის საჭირო ინვენტარითა და სამედიცინო მედიკამენტებით. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი. სკოლა უზრუნველყოფილია ორი სამედიცინო კაბინეტით.<br>ერთი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის განსაზღვრულ ფართში (ო.ონიაშვილის ქუჩა N6), ხოლო მეორე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის გათვალისწინებულ სივრცეში (ს.კანდელაკის ქ.N39).<br>მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცდა სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის და სამედიცინო პერსონალის რაოდენობის შესაბამისობისათვის (100-500 მოსწავლეზე 1 ექიმი (კადრის არარსებობისას შემთხვევაში ექიმი შეიძლება ჩანაცვლდეს ექთნით)) სკოლას ესაჭიოება ერთი ექიმი, სკოლის განსხვავებულ ფართებზე, 4 შენობაში განთავსებულ მოსწავლეებს ერთი ექიმი ვერ მოემსახურება, ამიტომ სკოლას ესაჭიროება 2 ექიმი. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 2 ექიმთან, ერთი მათგანი აკმაყოფილებს ზემოთ ნახსენები წესის მოთხოვნებს, ხოლო მეორე არა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას მოსწავლეთა უსაფრთხოების დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროდ მიიჩნევენ 2 ექიმის არსებობას, შესაბამისად მათ მიეცათ რეკომენდაცია მეორე ექიმიც იყოს წესის მოთხოვნების შესაბამისი. ვიზიტის განმავლობაში სკოლამ გამოაცხადა ექიმის ვაკანსია ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ჩანაწერების წიგნით;**<br>• **ვიზუალური დათვალიერება;**<br>• **ექიმის პირადი საქმე და ხელშეკრულება;**<br>• **სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი**<br>• **ექიმის ვაკანსია** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების" შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (MES 3 20 00012801, 01/09/2020), რომლის მიხედვითაც ხდება უსაფრთხოების წესების დაცვა. დასვენებებზე სკოლის მთელ ტერიტორიაზე (შენობასა და ეზოში) მორიგეობენ კლასის დამრიგებლები და მეთვალყურეობას ამ პროცესებს უწევს უსაფრთხოების კოორდინატორი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი N MES 3 20 00012801, 01/09/2020; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობების მიმდებარე ტერიტორია შემოსაზღვრულია ღობით. გარე და შიდა პერიმეტრის კონტროლი ხორციელდება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების შესაბამისი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით.<br>დაწყებითი კლასებისთვის განკუთვნილ შენობებში დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა (10 შიდა და 8 გარე კამერა), რომელიც აკონტროლებს სკოლის ყველა შემოსასვლელს, სკოლის ეზოს, ყველა დერეფანს და სასადილოს.<br>საბაზო-საშუალო კლასებისთვის განკუთვნილი შენობებში კონტროლდება 6 გარე და 9 შიდა კამერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• დირექტორთან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, დებულება, შინაგანაწესი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სხვა წესები. სკოლის დებულებით რეგულირდება საგანმანათლებლო საქმიანობა, სკოლის მართვის პრინციპები და წესები.<br>სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პრინციპებს, სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი მონიტორინგის წესს.<br>შინაგანაწესში განსაზღვრულია: მოქმედების სფერო, მიზანი, სამუშაო და დასვენების დრო, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და შეწყვეტა, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები, წახალისების ფორმები, დისციპლინური წარმოება, დისციპლინური სახდელები, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები, შვებულების ხანგრძლივობა, მიცემის წესი და შრომითი ურთიერთობის შეჩერება, მოსწავლის მიღება/ჩარიცხვა, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება.<br>ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრულია ის ძირითადი კრიტერიუმები და ინდიკატორები რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ხარისხის მართვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • წესდება;<br>• სკოლის დებულება 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-18 ბრძანება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შინაგანაწესი 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-19 ბრძანება;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-36 ბრძანება;<br>• სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია 2021 წლის 05 ოქტომბრის N1/კ-58 ბრძანება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი - 2022-2028 წლების) და ერთწლიანი (2021-2022) სამოქმედო გეგმები.<br>სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. სტრატეგიული გეგმა აზუსტებს სტრატეგიულ მიმართულებებს, მიზნებს, ამოცანებსა და განსახორციელებელ აქტივობებს.<br>2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული გეგმების მისაღწევად გათვალისწინებულ აქტივობებს, განხორცილებაზე პასუხისმგებელ პირებს და შესაბამის ვადებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის 2022-2028 წლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2021 წლის 05 ოქტომბრის N1/კ-59 ბრძანება;<br>• 2021-2022 სასწავლი წლის სამოქმედო გეგმა 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-26 ბრძანება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების ერთიანი წესი“.<br>სკოლაში იწარმოება შემდეგი ჟურნალები:<br>• ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი<br>• შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი<br>• ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები.<br>სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ.<br>სკოლის საქმისწარმოების აღრიცხვას ახორციელებს საქმის მწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების გატარებას შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება,<br>• სარეგისტრაციო ჟურნალები,<br>• საქმისწარმოების ერთიანი წესი 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-20 ბრძანება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | 1. 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის და სამედიცინო პერსონალის რაოდენობის შესაბამისობისათვის (100-500 მოსწავლეზე 1 ექიმი (კადრის არარსებობისას შემთხვევაში ექიმი შეიძლება ჩანაცვლდეს ექთნით)) სკოლას ესაჭიოება ერთი ექიმი, სკოლის განსხვავებულ ფართებზე, 4 შენობაში განთავსებულ მოსწავლეებს ერთი ექიმი ვერ მოემსახურება, ამიტომ სკოლას ესაჭიროება 2 ექიმი. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 2 ექიმთან, ერთი მათგანი აკმაყოფილებს ზემოთ ნახსენები წესის მოთხოვნებს, ხოლო მეორე არა.<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია ორივე ექიმი ჰყავდეს წესში მოთხოვნილი კვალიფიკაციის შესაბამისი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2. სკოლის ერთ-ერთ შენობაში (კანდელაკის ქ. N37, რომელშიც ჯერ სასწავლო პროცესი არ განხორციელებულა) გათბობის ქვაბი განთავსებულია იზოლირებულ სივრცეში, მაგრამ შენობის შიგნით. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია ქვაბის შენობის გარეთ დამონტაჟების. |
| **რჩევები:** | **სკოლას მიეცა რჩევა სასკოლო ბიბლიოთეკის გამრავალფეროვნება და ელექტრონული საბიბლიოთეკო მომსახურების ფორმის გაცნობა და სამომავლოდ დანერგვა.** |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში დასაქმებულია 76 თანამშრომელი. მათ შორის 56 მასწავლებლი.<br>სკოლაში წარმოდგენილი სტრუქტურის შესაბამისად დასაქმებულია დირექტორი, კომერციულ დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, ფსიქოლოგი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, საქმისწარმოებელი, PR-მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერის მოადგილე, დაწყებითი საფეხურის მენეჯერი, ტექნიკურ მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, იურისტი, დამრიგებლების კოორდინატორი, კლუბური მუშაობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კოორდინატორი, დამლაგებელი, ტექნიკური მენეჯერის დამხმარე, უსაფრთხოების კოორდინატორი.<br>თანამშრომლებთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სტრუქტურა და საშტატო განრიგი 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-35 ბრძანება ;<br>• შრომითი ხელშეკრულებები;<br>• eschool-ის ბაზები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 56 |
| მოწვეული/მაძიებელი | 2/5 |
| უსტატუსო მასწავლებლი | 12 (პირობადადებული) |
| უფროსი მასწავლებლი | 36 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | - |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის 1 წამყვანი, 36 უფროსი, 5მაძიებელი, 2 მოწვეული და 12 უსტატუსო მასწავლებელი.<br>სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული აქვს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები.<br>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" და სკოლის მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.<br>სკოლას კონკურსის პროცესში გავლილია აქვს შემდეგი ეტაპები: საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; გასაუბრება; კონკურსის შედეგების განსაზღვრა;<br>კონკურსს ატარებს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია.<br>კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პირადი საქმეები,<br>• teachersjobs.ge.<br>• შინაგანაწესი 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-19 ბრძანება.<br>• მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-27 ბრძანება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესში გაწერილი თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები.<br>კონკურსის ეტაპებია: საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; გასაუბრება;<br>კონკურსის შედეგების განსაზღვრა;<br>სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, კონკურსის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ეტაპები, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესი და უფლებამოსილებები.<br>განცხადებების გავრცელება სკოლის ვაკანტური ადგილის შესახებ ხდება teachersjobs.ge -ზე.<br>შინაგანაწესში ასევე მოცემულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა წახალისების სისტემა. შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომებისა და პასუხისმგებლობის სახეები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პირადი საქმეები<br>• teachersjobs.ge<br>• შინაგანაწესი 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-19 ბრძანება.<br>• მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-27 ბრძანება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები<br>• ხელშეკრულების სარეგისტრაციო ჟურნალი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.<br>პროფესიული განვითარების მიზნით მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს საგაკვეთილო პროცესზე, უკეთებენ უკუკავშირს, ატარებენ სამუშაო შეხვედრებს. ახალ მასწავლებელს ადაპტაციაში ეხმარება კოლეგა მასწავლებელი ან საჭიროების შემთხვევაში მასზე მიმაგრებული გამოცდილი მასწავლებელი.<br>ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება.<br>პედაგოგები მონაწილეობენ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სხვადასხვა სახის ღონისძიებებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა 2021 წლის 06 სექტემბრის N1/კ-34 ბრძანება,**<br>• **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება 2020 წლის 14 სექტემბრის N1/კ-40 ბრძანება.** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას;<br>სკოლის პედაგოგებს შორის, ასევე, პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის არის თანამშრომლობითი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ურთიერთობები. პედაგოგები ახდენენ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. სკოლის 6 პედაგოგი არის „ახალი სკოლის მოდელის" საგნობრივი ქოუჩი, რომლებიც ზრუნავენ თანამედროვე მოთხოვნების დანერგვის უზრუნველყოფას სასწავლო პროცესში.<br>თითოეულ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი/შეხედულებები. მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათი ინიციატივები ყოველთვის განიხილება და დადებით პასუხის ღებულობენ იმ შემთხვევაში თუ მათი ინიციატივა არგუმენტირებულია.<br>ექსპერტების აზრით სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობის რეალიზებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ინტერვიუ მოსწავლეებთან;<br>• ინტერვიუ მშობლებთან;<br>• ინტერვიუ თანამშრომლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

.......... თბილისი......... .... 08/08/2022......

გვერდების რაოდენობა ...41...



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.